

**კოლეჯ “არსში” პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვის წესი და
ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა**

I. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი ადგენს კოლეჯ “არსში” (შემდგომი კოლეჯი) პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტის ჩარიცხვის წესებს, ასევე პროფესიული სტუდენტის ჩასარიცხად წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტების ნუსხას.

II. კოლეჯში ჩარიცხვის უფლება

1. კოლეჯში შეიძლება ჩარიცხოს პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო ან საშუალო საფეხური /პროფესიული პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად/ და გააჩნია ამ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; (ზოგიერთ შემთხვევაში ასაკობრივი ზღვარი შეიძლება იყოს დაწესებული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად).

III. კოლეჯში ჩარიცხვის პირობები

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ცხადდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომელიც ადგენს პროგრამის ხანგრძლივობას, გადასახადის ოდენობას, დოკუმენტების მიღების ვადას და ქვეყნდება საჯაროდ (ვებ-გვერდის მეშვეობით) მითითებულ ვადადღე არა უგვიანეს 2 კვირით ადრე;
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე;
3. დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პირის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;
4. სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. როგორც პროგრამების საფეხურებზე საქართველოს მოქალაქეთათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ეს დებულება.
5. კოლეჯი პროფესიულ პროგრამებზე მისაღებად კოლეჯისთვის დადგენილი სტუდენტთა რაოდენობის ზღვრული ოდენობის გადაჭარბების (კონკურსის არსებობის) შემთხვევაში ითვალისწინებს აბიტურიენტთა საატესტატო ნიშნების მონაცემებს პროფესიული პროგრამისთვის მაპროფილებელ დისციპლინებში. კონკურსის არარსებობის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღება ყველა მსურველი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულების II მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
6. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემები კოლეჯს ამ მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული აქტის გამოცემიდან 5 დღის ვადაში შეაქვს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში;

IV. კოლეჯში ჩასარიცხად წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტები

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა კოლეჯს უნდა წარუდგინოს:

1. პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში წარმომადგენლის) განცხადება;
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. ზოგადი განათლების საბაზო/ საშუალო საფეხურის (პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების

დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო/საშუალო საფეხურის დაძლევის გარეშე;

4. 2 ფოტოსურათი ზომით 3X4

/საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, მაგ: გვარის ან სახელის ცვლილების შემთხვევაში ცვლილების შესახებ ოფიციალური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი და ა.შ/

შენიშვნა: კოლეჯს უფლება აქვს პროფესიულ საგანმნათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს კონკრეტული საგანმნათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოთხოვოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები;

ჩარიცხული სტუდენტის პირადი საქმე გარდა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებისა უნდა შეიცავდეს:

- კოლეჯსა და სტუდენტს შორის გაფორმებულ სასწავლო ხელშეკრულებას.
- სტუდენტის პირად ბარათს.